ხელშეკრულება № 01 / 13 / 176

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(გამარტივებული შესყიდვა)

თბილისი **14 ნოემბერი, 2019წ.**

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი შესყიდვების სამსახურის უფროსის, ვახტანგ შავგულიძის სახით და **შპს „4მედია“**, შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად”, წარმოდგენილი დირექტორის, გიორგი კენჭუაშვილის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, შემსყიდველი ორგანიზაციის 06.11.19 #505119/17 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში-„ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაშია მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი“- პირი, რომელიც უწევს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურება.

2 ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის საინფორმაციო გრაფიკული ვიდეო–რგოლის „facebook.com“ სოციალურ ქსელში რეკლამირების მომსახურების (CPV - 79341000) შესყიდვა. შესასყიდი მომსახურების გაწევის შედეგად, სარეკლამო პერიოდის განმავლობაში, მიღწეულმა აუდიტორიამ (reach) უნდა გამოიწვიოს 4500 ჩართულობა (engagement) პოსტის გახსნა, რეაქცია, კომენტარი, გაზიარება)

3 ხელშეკრულების ღირებულება

3.3 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 500.00 (ხუთასი) ლარს.

3.4 ხელშეკრულების ღირებულება, მომსახურების ღირებულების გარდა, ასევე, მოიცავს წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, დღგ-ს გარეშე.

4 მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) 2019 წლის 15 ნოემბრიდან 7 კალენდარული დღის განმავლობაში უზრუნველყოს შემსყიდველის საინფორმაციო გრაფიკული ვიდეო-რგოლის facebook.com სოციალურ ქსელში დარეკლამება ისე, რომ

აღნიშნული პერიოდის განმავლობაში მიღწეულმა აუდიტორიამ (reach) გამოიწვიოს 4500 ჩართულობა (engagement) პოსტის გახსნა, რეაქცია, კომენტარი, გაზიარება);

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე შესაძლო უმოკლეს ვადაში;

ვ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება);

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5 გარანტია

მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ყველა მოთხოვნას და უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში დამკვიდრებულ საერთაშორისო სტანდარტებს.

6 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება) შეუძლია განახორციელოს ნებისმიერ დროს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

6.2 შემსყიდველი, საკუთარი თანამშრომლის მეშვეობით, განახორციელებს ხელშეკრულების შესრულების ინსპექტირებას. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს (ინპექტირებას) განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი (უფროსის მოვალეობის შემსრულებელი).

6.3 ინსპექტირების განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის პერიოდში განახორციელოს მომსახურების ინსპექტირება და, თუ ინსპექტირებისას გამოვლინდა წუნი, მიმწოდებელი ვალდებულია შესაბამისი მოთხოვნიდან დაუყოვნებლიც გამოასწოროს წუნი საკუთარი ხარჯებით, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

გაწეული მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა-ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

გ) დაფინანსების წყარო – გერმანიის საერთაშორისო ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) გრანტი.

8.2 მიმწოდებელს აუნაზღაურდება ხელშეკრულების ღირებულება მომსახურების ფაქტობრივად გაწევის შემდეგ, მხარეთა მიერ გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღეში.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2. თუ ერთი-ერთი მხარე არ ასრულებს ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებულ ვალდებულებას, მეორე მხარე ვალდებულების შესრულებისთვისათვის წერილობითი ფორმით უწესებს დამატებით ვადას ან აფრთხილებს მას. თუ დამატებით ვადაში ან გაფრთხილების შემდგომ, მხარე კვლავ არ ასრულებს ან არსებითად არღვევს მის მიერ ნაკისრ ვალდებულებას, დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

10.4 წინამდებარე ხელშეკრულების 8.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

10.5 ვადის გადაცილებაზე ყოველდღიური პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს არც ერთ მხარეს ხელშკრულებით განსაზღვრული დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო,
წარმოდგენილი შესყიდვების სამსახურის უფროსის ვახტანგ შავგულიძის სახით,
მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქ.№2
ტელეფონი: 291-05-17,
საბანკო რეკვიზიტები: ანგ: ხაზინის ერთიანი ანგარიში, GE24NB0330100200165022
ბანკის კოდი: TRESGE22; სახაზინო კოდი: 707427078
ს/კ – 202238621

მიმწოდებელი

შპს „4მედია“,
წარმოდგენილი დირექტორის, გიორგი კენჭუაშვილის სახით,
მისამართი: თბილისი, ეგნატე და ვახტანგ ფიფიების ქ.#5
ტელეფონი: 555 132 000
საბანკო რეკვიზიტები: ანგ.№GE74TB7921936080100003
სს „თიბისი ბანკი“, კოდი: TBCBGE22,
ს/კ - 402 008 019

ხელწერილი ინერესთა კონფლიქტის შესახებ

2019 წლის 14 ნოემბერი

ვადასტურებ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, საინფორმაციო გრაფიკული ვიდეო-რგოლის „facebook.com“ სოციალურ ქსელში რეკლამირების მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში, შპს „4მედია“-სთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესყიდვების სამსახურის უფროსი,
ვახტანგ შავგულიძე